პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი

გადაწყვეტილება №გ-1/037/2018

განცხადების განხილვის დასრულების შესახებ

ქ. თბილისი 25/01/2018

განმცხადებელი:

მოთხოვნა: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) მიერ მსჯავრდებულ , ინფორმირების კანონიერების შესწავლა.

2017 წლის 20 სექტემბერს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს №PDP 4 17 00003311 განცხადებით მომართა რომელიც მიუთითებდა, რომ წარსულში მუშაობდა 2016 წლის 04 აგვისტოს მან განცხადებით მიმართა სამინისტროს, მისი საიდენტიფიკაციო ბარათით პერიოდში სამინისტროს ტერიტორიაზე (მის.: გ. კვინიტაძის ქ. №20) შესვლა-გასვლის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნით. სამინისტრომ განმცხადებელს არ გადასცა მოთხოვილი ინფორმაცია შესაბამისი მონაცემების არ არსებობის გამო. განმცხადებელი მიუთითებს, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციით, სამინისტრო ზემოაღნიშნულ მონაცემებს ინახავს სერვერზე და მიზანმიმართულად მალავს მათ.

წარმოდგენილ განცხადებას თან ერთვოდა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის 2016 წლის 15 აგვისტოს №MOD 0 16 00755462 წერილი, რომლითაც განმცხადებელს განემარტა, რომ მისი საიდენტიფიკაციო (ID) ბარათით სამინისტროს ტერიტორიაზე (მის.: გ. კვინიტაძის ქ. №20) მის მიერ მითითებული პერიოდისათვის შესვლა-გასვლის შესახებ მოთხოვნილი ინფორმაცია არ იყო დაცული.

მიერ ინსპექტორის აპარატში წარმოდგენილ განცხადებაში მითითებული არ იყო მონაცემთა სუბიექტის - განმცხადებლის პირადი ნომერი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 ივლისის №180 დადგენილებით დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის საქმიანობისა და მის მიერ

უფლებამოსილების განხორციელების წესის შესახებ დებულების“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, 2017 წლის 20 სექტემბრის №PDP 4 17 00003311 განცხადებას პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2017 წლის 22 სექტემბრის №გ-1/437/2017 გადაწყვეტილებით დაუდგინდა ხარვეზი და განმცხადებელს დაევალა 14 (თოთხმეტი) დღის ვადაში წარმოედგინა განცხადების განხილვისთვის საჭირო ინფორმაცია, კერძოდ, მისი პირადი ნომერი.

2017 წლის 04 ოქტომბრის №PDP 7 17 00003468 განცხადებით გამოასწორა ხარვეზი და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს წარმოუდგინა მისი პირადი ნომერი.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2017 წლის 06 ოქტომბრის №გ-1/453/2017 გადაწყვეტილებით 2017 წლის 20 სექტემბრის №PDP 4 17 00003311 განცხადება მიღებულ იქნა განსახილველად, ხოლო 2017 წლის 13 ოქტომბერს №PDP 9 17 00003631 წერილით სამინისტროსგან გამოთხოვილ იქნა შესაბამისი ინფორმაცია.

2017 წლის 23 ოქტომბრის №PDP 5 17 00003736 საპასუხო წერილით სამინისტრომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში წარმოადგინა მოთხოვნილი ინფორმაცია და მიუთითა, რომ სამინისტროს ტერიტორიასა და ადმინისტრაციულ შენობებში განლაგებულ საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე დაცვის ღონისძიებების განხორციელება წარმოადგენს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო პოლიციის კომპეტენციას (შემდგომში - სამხედრო პოლიცია). შესაბამისად, განმცხადებლის შესახებ სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში შესვლა-გასვლის მონაცემები გამოთხოვილ იქნა აღნიშნული დანაყოფიდან, რაზეც მიღებულ იქნა პასუხი (სამხედრო პოლიციის 2016 წლის 12 აგვისტოს №746180 წერილი), რომ შესახებ მითითებული პერსონალური მონაცემები სამინისტროში არ ინახება, ვინაიდან, 2011 წელს აღრიცხვის სისტემაში არსებული ხარვეზების გამო (სისტემა არ იყო ცენტრალიზებული და არ იძლეოდა პიროვნების სრულყოფილად იდენტიფიცირების საშუალებას), 2013 წლის 19 ოქტომბერს სამინისტროს ყველა საკონტროლო გამშვებ პუნქტზე მოხდა ელექტრონული აღრიცხვის სისტემის ჩანაცვლება ახალი თანამედროვე აღრიცხვის სისტემით. ამასთან, საკონტროლო გამშვები პუნქტების ძველი მონაცემები ახალი სისტემის შიდა ქსელში გაშვების შემდეგ ავტომატურად განადგურდა, რადგან მათი ერთ პროგრამაში გაერთიანება ვერ მოხდა ერთმანეთთან შეუთავსებლობის გამო.

2017 წლის 06 ნოემბერს სამინისტროს წარმომადგენელმა ინსპექტორის აპარატში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დამატებით წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტაცია:

- საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს

  დაწესებულება) დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს №MOC 7 16 00677241 წერილი,

რომლითაც 2016 წლის 04 აგვისტოს განცხადება შემდგომი რეაგირებისათვის გადაგზავნილ იქნა სამინისტროში;

- 2016 წლის 04 აგვისტოს განცხადება (სამინისტროში რეგისტრაციის თარიღი: 08/08/2016; №729317), რომლითაც განმცხადებელი სამინისტროსგან ითხოვს 2011 წლის პერიოდში სამინისტროს ტერიტორიაზე (მის.: ქ. თბილისი, გ. კვინიტაძის ქ. №20) მისი სამსახურებრივი (ID) ბარათით შესვლა-გასვლის ზუსტი მონაცემების (დრო) მიწოდებას;
- სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსისადმი მიმართული სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 12 აგვისტოს №MOD 7 16 00746180 წერილი, სადაც მითითებულია, რომ 2011 წლის სამინისტროს ტერიტორიაზე შესვლა-გასვლის ამონაწერი სამხედრო პოლიციის დეპარტამენტს არ გააჩნდა, ვინაიდან მითითებულ პერიოდში აღრიცხვის სისტემა არ იყო ცენტრალიზებული და არ იძლეოდა პიროვნების სრულყოფილად იდენტიფიცირების საშუალებას (არ იყო მითითებული პიროვნების პირადი ნომერი, მამის სახელი და ქვედანაყოფის დასახელება), რის გამოც, 2013 წლის 19 ოქტომბერს სამინისტროს ყველა დანაყოფის გამშვებ პუნქტებზე მოხდა ელექტრონული აღრიცხვის სისტემის შეცვლა ახალი თანამედროვე აღრიცხვის სისტემით. საკონტროლო გამშვები პუნქტების ძველი მონაცემები ახალი სისტემის შიდა ქსელში გაშვების შემდეგ ავტომატურად განადგურდა, რადგან მათი ერთ პროგრამაში გაერთიანება ვერ მოხდა ერთმანეთთან შეუთავსებლობის გამო;
- სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის 2016 წლის 15 აგვისტოს №MOD 0 16 00755462 წერილი, რომლითაც განცხადების (სამინისტროში რეგისტრაციის თარიღი: 08/08/2016; №729317) პასუხად განემარტა, რომ სამინისტროს ტერიტორიაზე (მის.: გ. კვინიტაძის ქ. №20), საიდენტიფიკაციო (ID) ბარათით, მის მიერ მითითებული პერიოდისათვის შესვლა-გასვლის შესახებ მოთხოვნილი ინფორმაცია სამინისტროში არ იყო დაცული.

2017 წლის 29 ნოემბერს სამინისტროს წარმომადგენელმა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით წარმოადგინა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის 2016 წლის 11 აგვისტოს №MOD 8 16 00744723 წერილი 2016 წლის 04 აგვისტოს განცხადების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში გადაგზავნის შესახებ და ასევე განმარტა, რომ სამინისტროს ტერიტორიაზე შესვლა-გასვლის შესახებ ინფორმაცია ინახება სერვერების ტექნიკური მახასიათებლების შესაბამისად, თუმცა აღნიშნული ვადა არ აღემატება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლით გათვალისწინებულ სამ წლიან ვადას. ამასთან, სამინისტროში პირთა შესვლა-გასვლის შესახებ ინფორმაციის შენახვის ვადებთან დაკავშირებით, რაიმე დამატებითი მარეგულირებელი აქტი არ არსებობს.

აღსანიშნავია, რომ მიერ სამინისტროში წარდგენილი 2016 წლის 04 აგვისტოს განცხადების (სამინისტროში რეგისტრაციის №729317) თანახმად, იგი სამინისტროსაგან ითხოვდა სამინისტროს ტერიტორიაზე მისი სამსახურებრივი (ID) ბარათით შესვლა-გასვლის შესახებ 2011 წლის 20 მაისიდან 31 მაისამდე ასახულ ინფორმაციას. ამასთან,

ინსპექტორის აპარატში წარმოდგენილ განცხადებაში №PDP 4 17 00003311 მიუთითებდა, რომ მის მიერ სამინისტროსგან გამოთხოვილ იქნა მისი საიდენტიფიკაციო ბარათით სამინისტროს ტერიტორიაზე შესვლა-გასვლის შესახებ 2011 წლის და 2011 წლის პერიოდში ასახული ინფორმაცია.

ზემოაღნიშნული გარემოების დაზუსტების მიზნით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2017 წლის 04 დეკემბრის №გ-1/532/2017 გადაწყვეტილებით კობა თოდუას 2017 წლის 20 სექტემბრის №PDP 4 17 00003311 განცხადების განხილვა შეჩერდა განმცხადებლისაგან გამოსათხოვი ინფორმაციის ინსპექტორის აპარატში სრულად წარმოდგენამდე, ხოლო ინსპექტორის აპარატის უფლებამოსილი პირის 2017 წლის 08 დეკემბრის №PDP 6 17 00004394 წერილით განმცხადებელს ეთხოვა მის განცხადებაში №PDP 4 17 00003311 მითითებული სამინისტროსგან გამოსათხოვი ინფორმაციის პერიოდთან დაკავშირებული გარემოებების დაზუსტება (წერილი გაიგზავნა .

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ინსპექტორის აპარატის №PDP 6 17 00004394 წერილი განმცხადებელს ჩაბარდა 2017 წლის 13 დეკემბერს, თუმცა განმცხადებელს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში წერილით მოთხოვნილი ინფორმაცია არ წარმოუდგენია.

სამინისტროს მიერ ინსპექტორის აპარატში 2017 წლის 14 დეკემბრის №PDP 4 17 00004473 წერილითა და 2018 წლის 16 იანვარს ელექტრონული ფოსტით წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მოთხოვნა - 2011 წლის სამინისტროს ტერიტორიაზე მისი სამსახურებრივი (ID) ბარათით შესვლა-გასვლის მონაცემების მიწოდების შესახებ, სამინისტროში ვერ იქნა მოძიებული. ამასთან, სამინისტროში ფიქსირდება 2016 წლის 04 აგვისტოს განცხადება (სამინისტროში რეგისტრაციის თარიღი: 08/08/2016; №729317), სადაც მოთხოვნილია ინფორმაცია 2011 წლის მაისის პერიოდში სამინისტროს ტერიტორიაზე მისი სამსახურებრივი (ID) ბარათით შესვლა-გასვლის შესახებ, რაზეც განმცხადებელს პასუხი ეცნობა თავდაცვის სამინისტროს 2016 წლის 15 აგვისტოს №MOD 0 16 00755462 წერილით.

სამოტივაციო ნაწილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა იმსჯელა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების კანონიერებაზე.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა“, „ი“ და „ვ“ პუნქტების თანახმად, პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. მონაცემთა დამმუშავებელს წარმოადგენს საჯარო დაწესებულება, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნებსა და საშუალებებს, უშუალოდ ან უფლებამოსილი პირის მეშვეობით

ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას. მონაცემთა სუბიექტი კი არის ფიზიკური პირი, რომლის შესახებ მონაცემიც მუშავდება.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს მე-14 მუხლის თანახმად, საჯარო და კერძო დაწესებულებებს შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის აღრიცხვის მიზნით შეუძლიათ შეაგროვონ შემდეგი მონაცემები: სახელი, საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ნომერი და სახე, მისამართი, შესვლისა და გასვლის თარიღები და დრო, ასევე შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის მიზეზები. ამასთან, შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის აღრიცხვის მიზნით შეგროვილი მონაცემების შენახვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს მათი ჩაწერის დღიდან სამ წელს, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. სამწლიანი ვადის გასვლის შემდეგ ისინი უნდა წაიშალოს ან განადგურდეს. ამავე კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მონაცემთა დამმუშავებელს მოსთხოვოს ინფორმაცია მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე. მონაცემთა დამმუშავებელმა მონაცემთა სუბიექტს უნდა მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია: მის შესახებ რომელი მონაცემები მუშავდება; მონაცემთა დამუშავების მიზანი; მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი; რა გზით შეგროვდა მონაცემები; ვისზე გაიცა მის შესახებ მონაცემები, მონაცემთა გაცემის საფუძველი და მიზანი. ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად კი, მონაცემთა სუბიექტს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ, ან მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 დღისა. ინფორმაციის მიწოდების ფორმას ირჩევს მონაცემთა სუბიექტი. ამასთან, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, პირს უფლება აქვს, გაეცნოს მის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები, გარდა იმ მონაცემებისა, რომელთა გაცემისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია საფასური.

განცხადების განხილვის ფარგლებში წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა შემდეგი:

- 2016 წლის 04 აგვისტოს განცხადებით (სამინისტროში რეგისტრაციის თარიღი: 08/08/2016; №729317) განმცხადებელმა მიმართა სამინისტროს და მოსთხოვა 2011 წლის პერიოდში სამინისტროს ტერიტორიაზე (მის.: ქ. თბილისი, გ. კვინიტაძის ქ. №20) მისი სამსახურებრივი (ID) ბარათით შენობაში შესვლისას და შენობიდან გასვლისას ასახული მონაცემების მიწოდება;
- სამინისტროს განმარტებით, 2011 წელს აღრიცხვის სისტემაში არსებული ხარვეზების გამო (სისტემა არ იყო ცენტრალიზებული და არ იძლეოდა პიროვნების სრულყოფილად იდენტიფიცირების საშუალებას) 2013 წლის 19 ოქტომბერს სამინისტროს ყველა საკონტროლო გამშვებ პუნქტზე მოხდა ელექტრონული აღრიცხვის სისტემის ჩანაცვლება ახალი თანამედროვე აღრიცხვის სისტემით. ამასთან, საკონტროლო გამშვები პუნქტების ძველი მონაცემები ახალი სისტემის შიდა ქსელში გაშვების შემდეგ ავტომატურად

განადგურდა, რადგან მათი ერთ პროგრამაში გაერთიანება ვერ მოხდა, ერთმანეთთან შეუთავსებლობის გამო;

- 2016 წლის 15 აგვისტოს №MOD 0 16 00755462 წერილით სამინისტრომ განმცხადებელს აცნობა, რომ სამინისტროს ტერიტორიაზე (მის.: გ. კვინიტაძის ქ. №20), მისი საიდენტიფიკაციო (ID) ბარათით, მის მიერ მითითებული პერიოდისათვის შესვლა-გასვლის შესახებ მოთხოვნილი ინფორმაცია სამინისტროში არ იყო დაცული.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლით გარანტირებული მონაცემთა სუბიექტის უფლების რეალიზების მიზნით მნიშვნელოვანია, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელმა სრულყოფილად მიაწოდოს ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტს მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე, რაც მონაცემთა სუბიექტს უქმნის ნათელ წარმოდგენას, თუ რამდენად კანონიერად მუშავდება მისი პერსონალური მონაცემები. ამასთან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მონაცემთა დამმუშავებელი არ ამუშავებს მონაცემთა სუბიექტის შესახებ ინფორმაციას, ან არ ინახავს მის მიერ მოთხოვნილ კონკრეტულ დოკუმენტს, მან ნათლად და მკაფიოდ უნდა მოახდინოს მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება აღნიშნულის თაობაზე. ამასთან, კანონმდებელი მონაცემთა დამმუშავებელს ავალდებულებს მონაცემთა სუბიექტს მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია მიაწოდოს დაუყოვნებლივ, ხოლო იმ შემთხვევაში თუ სახეზეა მნიშვნელოვანი მოცულობის დოკუმენტების დამუშავების საჭიროება, არაუგვიანეს ათი დღისა.

როგორც განცხადების განხილვის ფარგლებში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, სამინისტრომ განმცხადებელს 2016 წლის 04 აგვისტოს განცხადებაზე (სამინისტროში რეგისტრაციის თარიღი: 08/08/2017; №729317) საპასუხო წერილი გაუგზავნა 2016 წლის 15 აგვისტოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრომ მონაცემთა სუბიექტს ინფორმაცია მიაწოდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ათ დღიანი ვადის დაცვით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამინისტროს მიერ განმცხადებლის ინფორმირებისას არ იკვეთება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევა.

რაც შეეხება განმცხადებლის მიერ სამინისტროსგან 2011 წლის პერიოდში სამინისტროს ტერიტორიაზე შესვლა-გასვლის მონაცემების გამოთხოვის საკითხს, აღსანიშნავია, რომ:

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის განსახილველად წარმოდგენილი 2017 წლის 20 სექტემბრის №PDP 4 17 00003311 განცხადების თანახმად, მან 2011 წლის პერიოდში მისი საიდენტიფიკაციო ბარათით სამინისტროს ტერიტორიაზე შესვლა-გასვლის მონაცემების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნით სამინისტროს მიმართა 2016 წლის 04 აგვისტოს;

- სამინისტროს მიერ წარმოდგენილი 2016 წლის 04 აგვისტოს განცხადება (სამინისტროში რეგისტრაციის თარიღი: 08/08/2017; №729317) არ შეიცავს მოთხოვნას 2011 წლის პერიოდში განმცხადებლის სამინისტროს ტერიტორიაზე შესვლისა და გასვლის შესახებ ასახული მონაცემების გაცემის თაობაზე;
- სამინისტროს განმარტების თანახმად, მოთხოვნა 2011 წლის სამინისტროს ტერიტორიაზე მისი სამსახურებრივი (ID) ბარათით შესვლა-გასვლის მონაცემების მიწოდების შესახებ - სამინისტროში ვერ იქნა მოძიებული;
- მიუხედავად ინსპექტორის აპარატის წერილობითი მოთხოვნისა, მიერ არ იქნა წარმოდგენილი 2011 წლის პერიოდში მისი სამინისტროს ტერიტორიაზე შესვლა-გასვლის შესახებ ასახული მონაცემების სამინისტროსგან გამოთხოვის თაობაზე ინფორმაცია.

ვინაიდან განცხადების განხილვის ფარგლებში განმცხადებლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი უტყუარი მტკიცებულება 2011 წლის პერიოდში მისი სამინისტროს ტერიტორიაზე შესვლის-გასვლის შესახებ ასახული მონაცემების გამოთხოვის ფაქტის შესახებ და ამასთან, აღნიშნული შინაარსის მოთხოვნა ასევე ვერ იქნა მოძიებული სამინისტროში, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს მონაცემთა დამუშავების კანონიერების საკითხი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2, მე-14, 21-ე, 27-ე და 34-ე მუხლების საფუძველზე,

ინსპექტორმა გადაწყვიტა:

1. დასრულდეს 2017 წლის 20 სექტემბრის №PDP 4 17 00003311 განცხადების განხილვა;
2. ეცნობოთ განმცხადებელსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;
3. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

თამარ ქალდანი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი